ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 29 ივლისის სხდომის
№ 01-03/02 ოქმის დანართი №2

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის N01-07/06 დადგენილებით (დანართი №1)

შპს ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესი

2025

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2. ავიცენასთან აფილირების წარმოშობა და ხანგრძლივობა	1
მუხლი 3. აფილირების პირობები	2
მუხლი 4. აფილირების სამართლებრივი შედეგები და დასაქმებულის ვალდებულებები	3
მუხლი 5. უნივერსიტეტის ვალდებულებები აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის წინაშე	3
მუხლი 6. აფილირების შეწყვეტა	4
მუხლი 7. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვა	4
მუხლი 8. აკადემიური პერსონალის შრომითი დატვირთვა	6
მუხლი 9. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო და არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო	6
მუხლი 10. აკადემიური პერსონალის სავალდებულო აკადემიური (შრომითი) დატვირთვის ზღვრული ოდენობა და შრომის ანაზღაურება	8
მუხლი 11. სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/კლინიკური კომპონენტის შესრულების პროცესში	9
მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება და გაცემის წესი	9
მუხლი 13. გაცდენილი აკადემიური საათების აღდგენის წესი	9
მუხლი 14. დასკვნითი დებულებები	10

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	29.07.2022	01-03/02 დანართი №2	პარტნიორთა საერთო კრება	პირველადი რედაქცია	01	
2	16.01.2025	01-07/06 დანართი №1	აკადემიური საბჭო	კოდიფიცირებული	02	

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში – „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების წესი (შემდეგში – აფილირების წესი) განსაზღვრავს უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, აფილირების წარმოშობის და შეწყვეტის შემთხვევებს და მათ სამართლებრივ შედეგებს, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და შრომის ანაზღაურების წესს, ასევე სასწავლო პროცესის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების წესს.

1.2. წინამდებარე წესი შესაბამისობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ამ კანონის საფუძველზე მიღებულ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან, ასევე ავიცენას წესდებასთან, დებულებასთან და ავიცენას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესთან.

1.3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული ამ წესით, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ავიცენასთან აფილირების წარმოშობა და ხანგრძლივობა

2.1. ავიცენას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად აფილირება განმარტებულია, როგორც შეთანხმება უნივერსიტეტსა და ავიცენას აკადემიურ თანამდებობის პირთან, ამ პირის უნივერსიტეტთან მიკუთვნების (აფილირების) თაობაზე, რაც გულისხმობს ავიცენასთან აფილირების პერიოდში აკადემიური თანამდებობის პირის (შემდეგში „აფილირებული დასაქმებული“) უნივერსიტეტში საქმიანობის, მათ შორის, სამეცნიერო კვლევის შედეგების, ავიცენას მიზნებისათვის და ავიცენას სახელით გამოყენებას.

2.2. აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც არ აქვს გაფორმებული აფილირების შეთანხმება ავიცენასთან, განიხილება არააფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირად.

2.3. ავიცენასთან აფილირება წარმოიშობა ერთი მხრივ უნივერსიტეტს/ავიცენას და მეორე მხრივ – ავიცენას აკადემიურ თანამდებობის პირს (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი) შორის აფილირების შეთანხმების გაფორმების შედეგად (ფორმა დანართი 1-ის სახით თან ერთვის წინამდებარე წესს).

2.4. აფილირების შეთანხმება ფორმდება ავიცენას აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე და როგორც წესი, ძალაშია აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

2.5. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია აფილირების შეთანხმება დაიდოს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშიც, ასეთ შემთხვევაში აფილირების შეთანხმება უნდა გაფორმდეს სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე. თუკი აფილირების შეთანხმება გაფორმდება სემესტრის დაწყების შემდეგ, იგი ამოქმედდება მომდევნო სემესტრიდან (შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გამონაკლისი დაიშვება რექტორის ბრძანებით).

მუხლი 3. აფილირების პირობები

3.1. ავიცენასთან აფილირების შეთანხმების არსებობის პერიოდში აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი:

ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში.

ბ) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში და მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს.

გ) ჩართულია სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და სტუდენტების აკადემიური ხელმძღვანელობის პროცესებში;

3.2. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება მხოლოდ უნივერსიტეტს, მიუხედავად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო ან/და სხვა დაწესებულების მხრიდან დასაქმებულის მხარდაჭერისა და აღნიშნულ დაწესებულებაში მის მიერ დაკავებული თანამდებობისა.

3.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) აკადემიური საბჭოს დადგენილებით დაადგინოს აფილირებული აკადემიური პერსონალის არააფილირებულ აკადემიურ პერსონალთან თანაფარდობის მაჩვენებელი;

ბ) აკადემიურ პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადებისას აკადემიური თანამდებობის დაკავების სავალდებულო პირობად განსაზღვროს კონკურსის მონაწილის თანხმობა უნივერსიტეტთან აფილირებაზე;

გ) უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის/სკოლის დეკანის თანამდებობაზე არჩევის ან სკოლის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშვნის პირობად განსაზღვროს კონკურსანტის/კანდიდატის თანხმობა უნივერსიტეტთან აფილირებაზე;

დ) აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირისათვის განსაზღვროს დამატებითი საუნივერსიტეტო მხარდაჭერის ღონისძიებები/უპირატესობები (სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსება, კონკრეტულ საუნივერსიტეტო/შიდა მიზნობრივ პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობა და დაფინანსება ან/და სხვა), ასევე აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაოს შინაარსი განსაზღვროს არააფილირებული აკადემიური თანამდებობის პირისაგან განსხვავებულად.

3.4. აფილირება დასაშვებია მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

3.5. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმდეს მოწვეულ მასწავლებლად ან აკადემიური თანამდებობაზე, თუ აღნიშნული ხელს არ უშლის მის მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით/აფილირების შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას და/ან არ ითვალისწინებს აფილირებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

3.6. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია/ სამსახურებრივი ბარათი:

ა) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მისი სამუშაო დატვირთვის ოდენობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში -თითოეული აკადემიური სემესტრის დაწყებამდე);

ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან აფილირების შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

მუხლი 4. აფილირების სამართლებრივი შედეგები და დასაქმებულის ვალდებულებები

4.1. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია:

ა) აფილირების პერიოდში განახორციელოს სამეცნიერო აქტივობა, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე წესით ან/და დასაქმებულის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო დატვირთვის განმსაზღვრელი უნივერსიტეტის სხვა აქტებით;

ბ) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებში, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობას მოიაზრებს;

გ) სხვა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო აქტივობებში გამოვიდეს უნივერსიტეტის სახელით;

დ) წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში უნივერსიტეტის სკოლის დეკანს;

ე) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ შეფასებისა და თვითშეფასების პროცესებში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, როგორც ამ დეპარტამენტის წევრმა;

ზ) დაიცვას აფილირების პირობები, შეასრულოს წინამდებარე წესის ან/და აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომითი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

4.2. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის მხრიდან უნივერსიტეტთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად განიხილება:

ა) აფილირების შეთანხმების პირობების დარღვევა;

ბ) აფილირების შეთანხმების შეწყვეტის წესის დარღვევა (მათ შორის სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დასაქმებულის აფილირების შემთხვევაში, ავიცენასათვის შეტყობინების გარეშე).

4.3. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის მხრიდან აფილირებასთან დაკავშირებით შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა იწვევს ამ წესით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, მათ შორის უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაქვითოს აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება იმ სემესტრისთვის, რომლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აფილირების შეთანხმების დარღვევას.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ვალდებულებები აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის წინაშე

5.1. ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის წინაშე უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი ჩართოს პროფესიული განვითარების აქტივობებში, როგორც დარგობრივი მეცნიერების, ასევე სწავლების მეთოდების მიმართულებით, უნივერსიტეტის ორგანიზებითა თუ სხვისი ორგანიზებული აქტივობების (თანა) დაფინანსებით;

ბ) უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი უნივერსიტეტის მართვის კოლეგიურ ორგანოებში არჩევის უპირატესი უფლებით;

გ) დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი იდეები, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების, კვლევების მხარდაჭერის პოლიტიკისა და კვლევისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის პირობების გათვალისწინებით ან/და შესაძლებლობა მისცეს აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროექტებში;

დ) უპირველესად უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა;

ე) დააფინანსოს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წლის მანძილზე მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, ამისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ფარგლებში, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტის შესაბამისად.

მუხლი 6. აფილირების შეწყვეტა

6.1. ავიცენასთან გაფორმებული აფილირების შეთანხმება წყდება:

ა) ავიცენას აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ვადის გასვლის შემთხვევაში;

ბ) ავიცენას აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში (საკუთარი ან დამსაქმებლის ინიციატივით);

გ) აფილირების შეწყვეტის შესახებ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

დ) აფილირების შეწყვეტის შესახებ დასაქმებულის ინიციატივის საფუძველზე (წარმოდგენილი უნდა იქნეს სემესტრის დაწყებამდე, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - აფილირების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 3 თვის ვადაში);

ე) დამსაქმებლის ინიციატივით, თუკი გამოვლინდება, რომ დასაქმებულს ავიცენასთან აფილირების შეთანხმების მოქმედების პერიოდში გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება ასევე სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან.

6.2. აფილირების შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმების გაფორმების ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივის შემთხვევაში, გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომლითაც დასაქმებულთან აფილირება წყდება მიმდინარე აკადემიური სემესტრის დასრულების შემდეგ, თუ სხვა ვადა არ განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვა

7.1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა/სასწავლო პროცესი წარიმართება ძირითადად ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის) და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალის მიერ (მოწვეული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, სპეციალისტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი).

7.2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ავიცენას მედიცინის სკოლის წარდგინებით გამოცემული ავიცენას რექტორის ბრძანებით განისაზღვრება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი დატვირთვა (ე.წ. „პედაგოგიური დატვირთვა“), წინამდებარე წესით დადგენილი დატვირთვის ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით (აკადემიური პერსონალის ნაწილში).

7.3. პედაგოგიური დატვირთვა, მათ შორის ელექტრონული/დისტანციური სწავლების ფორმატის შემთხვევაში, მოიცავს სალექციო / პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობა / სემინარი / კურაციულ/ლაბორატორიულ სამუშაო დატვირთვას (შემდეგში - „საუდიტორიო დატვირთვა“).

7.4. წინამდებარე წესის და შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად წარმოდგენილი სკოლის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ყოველ სემესტრულად, სასწავლო სემესტრის დასაწყისში გამოიცემა ავიცენას რექტორისა და დირექტორის ერთობლივი ბრძანება პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის თაობაზე, (რომელიც განიხილება დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად). ბრძანებაში აღინიშნება:

ა) დასაქმებულის ძირითადი სამუშაო ადგილი - ავიცენას მედიცინის სკოლა;

ბ) დასაქმებულის სტატუსი (აკადემიური თანამდებობა/მოწვეული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი) და აფილირება (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში);
გ) აკადემიური დატვირთვის კატეგორია (არსებობის შემთხვევაში);
დ) აკადემიური/სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში;
ე) დასაქმებულის აკადემიური საქმიანობის/სამუშაო დატვირთვის სახე (ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიული/პრაქტიკული/კურაცია და სხვა);
ვ) სამუშაოს შესრულების პერიოდი (აკადემიური წელი/სემესტრები);
ზ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა/დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნის გრაფაში).

7.5. ავიცენას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განისაზღვრება სკოლის აკადემიური პერსონალის, პირველ რიგში კი, ავიცენასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირების სამუშაო დატვირთვა, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, პერსონალის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხისა და საკონკურსო სააპლიკაციო განაცხადში მითითებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით.

7.6. მედიცინის სკოლის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შემდეგ დარჩენილი საათების შესრულების მიზნით ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, წინამდებარე წესის 10 მუხლის შესაბამისად, დამატებითი საათების შესრულების საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში (სასწავლო კურსებზე სააუდიტორიო ჯგუფების შექმნა/გაყოფა და დავალიანებული კრედიტების დარეგისტრირება) მოწვეული უნდა იქნას შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის ან/და მოწვეული პირი (კონკურსის გარეშე და მათი თანხმობით). აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია აღნიშნული საათების განაწილება დეპარტამენტის სხვა აკადემიურ ან/და მოწვეულ პირზე.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის შრომითი დატვირთვა

8.1. აკადემიური თანამდებობის პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) ვალდებულია შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მათ შორის:
ა) აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსთან (შემდეგში - აკადემიურ საქმიანობასთან) დაკავშირებით უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
ბ) ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სემესტრული აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა (შემდეგში - „პედაგოგიური დატვირთვა“) და სტუდენტთა კონსულტირება (კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე, სხვადასხვა აღგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ).
გ) წინამდებარე წესით ან/და უნივერსიტეტის სხვა აქტებით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო;
დ) საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობის ვალდებულება.

8.2. აკადემიური თანამდებობის პირის სასწავლო საქმიანობა მოიცავს: <u>სააუდიტორიო დატვირთვას</u> (სტუდენტებთან საკონტაქტო საათები - პედაგოგიური დატვირთვა), ლექციისა და ცოდნის შემოწმების კომპონენტების მომზადებას, სტუდენტის ნაშრომების გასწორებას ან ცოდნის სხვაგვარ შეფასებას, ახალი სასწავლო პროგრამის, მოდულისა თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის შემუშავებას და არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვას.

8.3. აკადემიური თანამდებობის პირის **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს:** უნივერსიტეტის სახელით განსახორციელებელი საგრანტო პროექტის მომზადებას, კვლევითი პროექტის განხორციელებას, კვლევაში სტუდენტების ჩართვას, პუბლიკაციების მომზადებას, თარგმნას, რედაქტირებას, რეცენზირებას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ან საკონფერენციო მოხსენების მომზადებას.

8.4. აკადემიური თანამდებობის პირის საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა შეიძლება მოიცავდეს ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ან მედიცინის სკოლის საბჭოს მუშაობაში, რექტორის ან მედიცინის სკოლის დეკანის მიერ დაგეგმილ აქტივობებში, უნივერსიტეტის და მედიცინის სკოლის მართვის ორგანოების მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში, საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა დაგეგმილ სხვა აქტივობებში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაში.

მუხლი 9. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო და არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო

9.1. აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს „პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო დატვირთვის შესახებ" რექტორისა და დირექტორის ყოველწლიურად გამოცემული ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული სააუდიტორიო დატვირთვა (სალექციო / პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობა / სემინარი / კურაციულ/ლაბორატორიულ სამუშაო) და წინამდებარე წესით განსაზღვრული სხვა არასააუდიტორიო დატვირთვა.

9.2. ავიცენას აკადემიური თანამდებობის პირის საუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

ა) სალექციო/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/კურაცია/ლაბორატორიული სამუშაო;

ბ) კლინიკური კომპონენტი/პრაქტიკა;

9.3. აკადემიური პერსონალის **არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვა** მოიცავს:

9.3.1. მზადება ლექციისთვის;

9.3.2. მზადება პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის/ჯგუფში მუშაობისათვის/კურაციისათვის;

9.3.3. სტუდენტთა კონსულტაცია - სავალდებულო შესასრულებელი საათები;

9.3.4. კომპეტენციის/უფლებამოსილების ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის წარმოება და სასწავლო პლატფორმების გამოყენება;

9.3.5. საგამოცდო პროცესში მონაწილეობა ან/და სტუდენტის შეფასება (მიმდინარე, შუალედური, საბოლოო);

9.3.6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;

9.3.7. სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

9.3.8. ლიტერატურის/სახელმძღვანელოს თარგმნა;

9.3.9. სამეცნიერო სტატიის მომზადება;

9.3.10. საკონფერენციო თემის მომზადება;

9.3.11. დარგობრივ დეპარტამენტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირება;

9.3.12. საჯარო ან ღია ლექციის მომზადება;

9.3.13. აკადემიური საბჭოს წევრობა;

9.3.14. სილაბუსის შედგენა/სრულყოფა;

9.3.15. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება;

9.4. აკადემიური პერსონალის, გარდა ასისტენტისა, **სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას შეადგენს (2023 წლიდან):**

9.4.1. პროფესორისათვის:

ა) უნივერსიტეტის მისიისა და სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც დასტურდება იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ყოველ 3 წელიწადში მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებით;

ბ) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ პედაგოგიური საქმიანობის შესაბამის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების შესრულება (სტუდენტის ხელმძღვანელობა ან სხვა).

დ) უნივერსიტეტის მისიისა და განსაზღვრული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა, უნივერსიტეტის სახელის პოპულარიზაცია და საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებაში მონაწილეობა.

9.4.2. ასოცირებული პროფესორისათვის:

ა) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს (იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში) გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების შესრულება (სტუდენტის ხელმძღვანელობა ან სხვა).

9.4.3. ასისტენტ-პროფესორისათვის:

ა) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების შესრულება (სტუდენტის ხელმძღვანელობა ან სხვა).

მუხლი 10. აკადემიური პერსონალის სავალდებულო აკადემიური (შრომითი) დატვირთვის ზღვრული ოდენობა და შრომის ანაზღაურება

10.1. ავიცენას აკადემიური თანამდებობის საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირის წლიური (სასწავლო წლის) აკადემიური (შრომითი) დატვირთვის **ზღვრული ოდენობა** განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორისათვის - **300 საათი;**

ბ) ასოცირებული პროფესორისათვის - **330 საათი;**

გ) ასისტენტ-პროფესორისათვის - **350 საათი;**

დ) ასისტენტისათვის - **400 საათი.**

10.2. საჭიროების შემთვევაში, მედიცინის სკოლის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რექტორისა და დირექტორის ერთობლივი ბრძანებით შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე მუხლის 10.1 პუნქტისაგან განსხვავებული წლიური აკადემიური დატვირთვის ოდენობა, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი სამუშაო დატვირთვის ფარგლებში.

10.2. ავიცენას აკადემიური თანამდებობის რაოდენობა განისაზღვრება ავიცენას აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგით, ხოლო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „აკადემიური და მოწვეული

პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით", რაც დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად ითვლება.

10.3. ავიცენას „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით" შესაძლებელია განისაზღვროს აფილირებული და არააფილირებული აკადემიური თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების განსხვავებული ოდენობები.

10.4. აკადემიური თანამდებობის პირებსა და მოწვეულ პედაგოგებს შრომის ანაზღაურება მიეცემათ „პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო დატვირთვის შესახებ" რექტორისა და დირექტორის ყოველ სემესტრულად გამოცემული ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული დატვირთვის ფარგლებში, ყოველთვიურად, მედიცინის სკოლის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თვის განმავლობაში ფაქტობრივად შესრულებული აკადემიური საათების მიხედვით, „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესი"-თ დადგენილი ოდენობით.

10.5. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირის სემესტრული/წლიური **შრომითი/აკადემიური დატვირთვის ზღვრული ოდენობა** რექტორის ბრძანებით მცირდება 30-დან 50 %-მდე ოდენობით, ავიცენას ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის დაკავების შემთხვევაში.

10.6. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირის წლიური შრომითი/აკადემიური დატვირთვის ზღვრული ოდენობა შეიძლება შემცირდეს ერთჯერადად, სემესტრულად/წლიურად 30-დან 50 %-მდე ოდენობით, დასაქმებულის მიერ მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო აქტივობის განხორციელების შემთხვევაში, რექტორის ინიციატივით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) დეკანის წარდგინებით გამოცემული რექტორის ბრძანებით (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელი არ შეეშლება სასაწავლო პროცესის განხორციელებას).

მუხლი 11. სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/კლინიკური კომპონენტის შესრულების პროცესში

11.1. საუდიტორიო/აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა მღვრული რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის „სტუდენტების მღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლიგიის" შესაბამისად.

11.2. ჯგუფში სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია ერთჯერადად (შესაბამის სემესტრში ან სასწავლო წელს), კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის საჭიროებისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ ფაკულტეტის/სამედიცინო სკოლის დეკანის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მიღებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან რექტორის ბრძანებით.

მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება და გაცემის წესი

12.1. მოწვეული აკადემიური პირების/მოწვეული პერსონალის საათობრივი შრომის (პედაგოგიური დატვირთვის/სტუდენტთან საკონტაქტო საათების) ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) განისაზღვრება „პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო დატვირთვის შესახებ"ავიცენას რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული შრომის დატვირთვის შესაბამისად, ყოველთვიურად, სამედიცინო სკოლის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თვის განმავლობაში ფაქტობრივად შესრულებული აკადემიური საათების მიხედვით, „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესი"-თ დადგენილი ოდენობით.

მუხლი 13. გაცდენილი აკადემიური საათების აღდგენის წესი

13.1. აკადემიური პირებისა და მოწვეული პედაგოგები ვალდებულნი არიან ლექციის გაცდენის შესახებ აცნობონ მედიცინის სკოლას/დეკანის ოფისს, რის შესახებაც ინფორმაცია აისახება LMS (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა) ელექტრონულ პროგრამაში.

13.2. აკადემიური პირებისა და მოწვეული პედაგოგების მიერ საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აკადემიური საათები ექვემდებარება აღდგენას, სამედიცინო სკოლის მითითებით, სკოლასთან ერთად დადგენილი ადგენის გრაფიკის შესაბამისად.

13.3. საპატიო მიზეზები შეიძლება იყოს: შვებულება, მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სასწალო სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებები, პერსონალის გადამზადების პროგრამებში მონაწილეობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა, რაც დასტურდება შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებით.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პირების ან/და მოწვეული პედაგოგების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აკადემიური საათები აღემატება რექტორის ბრძანებით მათთვის განსაზღვრული სემესტრული დატვირთვის 5%-ს, პერსონალის მიმართ გატარდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ავიცენას შიდა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე წესის პირველი რედაქცია მიღებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ და ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.

14.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შეიტანება აკადემიური საბჭოს მიერ.

14.3. წინამდებარე წესით განსაზღვრული აფილირების შეწყვეტის წესი ამოქმედდეს შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ ავტორიზაციის მიღების და მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „დიპლომირებული მედიკოსის” განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ.

14.4. შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ ავტორიზაციის მიღებამდე და მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „დიპლომირებული მედიკოსის” განხორციელების უფლების მოპოვებამდე უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირები, რომლებიც გამოთქვამენ მზაობას და გააფორმებენ შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტთან“ აფილირების შესახებ შეთანხმებას, ჩაითვალონ „პირობით აფილირებულებად“ ამ წესის 13.3. პუნქტით გათვალისწინებული მოვლენის დადგომამდე და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინონ ინფორმაცია ავიცენასთან დადებული პირობითი „აფილირების შეთანხმების” ძალაში დატოვების თაობაზე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების შესახებ განახლებული ინფორმაცია (ავიცენასთან ახალი აფილირების შეთანხმების გაფორმებაზე მზაობის შესახებ; სხვა უსდ-სთან უკვე გაფორმებული/ძალაში არსებული აფილირების შეთანხმების გაუქმების შესახებ (თუკი ასეთი გაფორმებული ექნებათ), შესაბამისი ვადების მითითებით).

დანართი 1

აფილირების შეთანხმება №

ბათუმი **---- ---------- 202- წელი**

ერთი მხრივ შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი” ან „ავიცენა”), რომელსაც წარმოადგენს ხელმძღვანელი, რექტორი **სოფიო ბერიძე,**

და

მეორე მხრივ, სახელი გვარი, პირადი № **---------- დასაქმებული ავიცენას ----------**

აკადემიური თანამდებობაზე.

საქართველოს კანონმდებლობის, ავიცენას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურის მიღების წესის და ავიცენას აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის **(შემდეგში - აფილირების წესის)** მოთხოვნების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. დასაქმებული თანხმობას აცხადებს უნივერსიტეტთან აფილირებაზე ავიცენას აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ურთიერთობის ვადით.

2. აფილირების შეთანხმების აქტზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ იცნობს უნივერსიტეტის „აფილირების წესის“ მოთხოვნებს, წინამდებარე აფილირების შეთანხმების გაფორმების სამართლებრივ შედეგებს და თანხმობას აცხადებს შეასრულოს ამ წესის მოთხოვნები.

3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის --- / --- / ---- წ. გაფორმებული № ------- შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმების ცვლილება ან შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად ან „აფილირების წესით“ დადგენილი პროცედურით.

შეთანხმებას ხელს აწერენ:

შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ რექტორი:	***შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ აკადემიური თანამდებობის პირი***
_____ (ხელმოწერა)	**სახელი გვარი:** _____ (ხელმოწერა)
თარიღი: _____ ბ.ა.	თარიღი: _____